



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

დისტანციურად გამოცდის ჩატარების დროებითი

ზოგადი წესები და პირობები

ქ.თბილისი,

2020 წელი

1. სტუდენტი, რომელსაც დისტანციურ გამოცდასთან დაკავშირებით მიუვა შესაბამისი შეტყობინება ელექტრონულ ფოსტაზე, ვალდებულია დათქმულ დროს შეუერთდეს **საგამოცდო სივრცეს** (კომპიუტერული პროგრამა ზუმის საშუალებით).
2. დათქმულ დროში იგულისხმება წინასწარ განსაზღვრული დრო, წუთის სიზუსტით. სტუდენტის დალოდების ვადაა არაუმეტეს 5 წუთი, რომლის გასვლის შემდეგ თუ სტუდენტი კვლავ არ/ვერ შემოუერთდა საგამოცდო სივრცეს, ჩაითვლება, რომ იგი არ გამოცხადდა გამოცდაზე.
3. სტუდენტს წინასწარ ეცნობება გამოცდის ხანგრძლივობა და იგი ვალდებულია დაიცვას ეს ვადა. გამოცდის ხანგრძლივობის დარღვევა ითვლება გამოცდის წესის დარღვევად და ნაშრომი არ შეფასდება.
4. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო სივრცეში ყოფნის განმავლობაში ჩართული ჰქონდეს კამერა და ხმა. კამერა და ხმა ჩართულად ითვლება მხოლოდ გამომცდელი/მეთვალყურის მიერ აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაში. გამომცდელი/მეთვალყურის დასტური დამოკიდებულია გამოსახულების და ხმის ხარისხზე, რაკურსზე და სხვა შესაბამის ფაქტორებზე.
5. გამოცდის ჩაწერა მიმდინარეობს დამატებითი შეტყობინების გარეშე.
6. გადაწერის, კარნახის და სხვა დაუშვებელი მანიპულაციის მინიმუმიზაციის მიზნით, გამოცდის მიმდინარეობისას სავალდებულოა სტუდენტი ჩანდეს აშკარად, ნათელ და შეძლებისდაგვარად აკადემიურ ფონზე. სტუდენტს არ უნდა ეკეთოს ყურსასმენები, პირბადე, მზის სათვალე და სხვა აქსესუარები, რაც დაფარავს მის სახეს.
7. ვირტუალური საგამოცდო სივრცეში ყოფნის მანძილზე/გამოცდის მიმდინარეობისას/გამოცდის დასრულებამდე, მთელი პერიოდის განმავლობაში სტუდენტი ვალდებულია ჩართული ჰქონდეს კამერა და ხმა.
8. ვირტუალური საგამოცდო სივრცეში ყოფნის მანძილზე/გამოცდის მიმდინარეობისას/გამოცდის დასრულებამდე, მთელი პერიოდის განმავლობაში სტუდენტი ვალდებულია არ „ჩაკეცოს“ ან არ შეამციროს საგამოცდო სამუშაო ეკრანი; ასეთის საჭიროების შემთხვევაში ნებართვა უნდა აიღოს გამომცდელისგან/ დამკვირვებლისგან.
9. სტუდენტი მე-6 პუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში ვალდებულია შეინარჩუნოს კამერისა და ხმის ის მდგომარეობა, რომელიც შეთანხმდა გამომცდელ/მეთვალყურესთან.
10. გამოცდის მიმდინარეობისას გამომცდელმა/მეთვალყურემ შეიძლება რამდენჯერმე მოითხოვოს ხმის შემოწმება, ან კამერის ხედის შეცვლა.

11. გამოცდის პირობა შეიძლება მოიცავდეს გამოსაცდელის სამუშაო ეკრანის „გაზიარება“, რაც გამოსაცდელის მიერ უნდა დაკმაყოფილდეს. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ითვლება გამოცდის წესის დარღვევად და ნაშრომი არ შეფასდება.
12. ნებისმიერი მიზეზით მე-6 პუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში სტუდენტის კამერის ან/და ხმის 20 წამზე მეტი ხნით გათიშვის/გამორთვის/მწყობრიდან გამოსვლის ან/და სხვაგვარად გამოსახულების ან ხმის ხარისხის შეცვლის/შეზღუდვის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან, თუ ხარისხის შეცვლის/შეზღუდვის შემდეგ შეუძლებელი ხდება მონიტორინგის ეფექტურად განხორციელება.
13. გარდა მე-10 პუნქტში აღნიშნულისა, სტუდენტი გამოცდიდან მოიხსნება იმ შემთხვევაშიც თუ მე-6 პუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი მიზეზით 3 ჯერ ან მეტჯერ დაფიქსირდება ისეთი ხარვეზი, რომლის შემდეგაც სტუდენტის კამერის გამოსახულება ან/და ხმის აღქმა შეფერხდება (ხანგრძლივობას არ აქვს მნიშვნელობა).
14. მე-6 პუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში, გაგომცდელი/მეთვალყურე ვალდებულია თვალყური ადევნოს გამოცდის მიმდინარეობას, შეინარჩუნოს კამერისა და ხმის შესაბამისი სტანდარტი, რათა უზრუნველყოს დისციპლინა და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული შესაბამისი ზომები (იხილეთ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლი).
15. მე-12 პუნქტში აღნიშნული უფლებით, სარგებლობს ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენელი (დამკვირვებელი), რომლის იდენტიფიცირება წინასწარ არ მოხდება გაგომცდელის მიერ.
16. თუ დაფიქსირდა სტუდენტის მიერ გადაწერის, კარნახის, ლიტერატურის გამოყენების („დახურული წიგნის“ პრინციპით მიმდინარე გამოცდაზე) ან სხვა სახის დარღვევა იგი ჩაითვლება „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მე-5 მუხლის 5.1.1 ქუჩის დარღვევად (აკადემიური თაღლითობა) და მას შესაბამისად დაეკისრება 6.2. პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
17. დაფიქსირებულად ითვლება, ასევე ჩანაწერის ანალიზის შედეგად აღმოჩენილი დარღვევა, რომელიც შესაძლოა მყისიერად ვერ იქნა გამოვლენილი.
18. გამოცდის დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია დატოვოს საგამოცდო სივრცე (ე.წ. sign out).
19. გამოცდის დროს/ხანგრძლივობას აღრიცხავს და აკონტროლებს გაგომცდელი, ან მეთვალყურე.
20. შესაბამისი ხარისხისა და პირობების უზრუნველსაყოფად სტუდენტი და ლექტორი ვალდებულია დისტანციური გამოცდისთვის მოემზადოს

- მაქსიმალურად გულდასმით და შექმნან სათანადო პირობები დისტანციური გამოცდის უხეში დარღვევების გარეშე ჩასატარებლად.
21. მე-6 პუნქტში მითითებული მთელი პერიოდის განმავლობაში, მიმდინარეობს აუდიო და ვიდეო ჩაწერა, წინასწარი ინფორმირების გარეშე, ჩანაწერი შემდგომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მტკიცებულებად.
  22. ყოველი გამოცდის წინ დგინდება გამოცდის სპეციფიური პირობები, რომლებიც ეცნობება გამოსაცდელს. მათი დაცვა ასევე სავალდებულოა გამოსაცდელისათვის. ასეთ პირობებს შეიძლება შეხებოდეს (მაგრამ არ შემოიფარგლოს):
    - 22.1. გამოცდისათვის გამოსაყენებელი პროგრამული უზრუნველყოფა, ან ფორმატი და პროცედურა;
    - 22.2. გამოცდის ხანგრძლივობა;
    - 22.3. ნამუშევრის ჩაბარების პროცედურა და ფორმატი;
    - 22.4. შეფასების პრინციპები.
  23. ამ წესებთან, ან კონკრეტული გამოცდის სპეციფიურ პირობებთან, კითხვების არსებობის შემთხვევაში, გამოსაცდელმა კითხვები უნდა დასვას გამოცდის დაწყებამდე. მიღებული პასუხები ვერ აუქმებს, ან ცვლის ამ წესებს, ახდენს მათ დაზუსტებას. კითხვების დასმა გამოცდის მიმდინარეობის დროს, ან შემდეგ არავალიდურია.
  24. სტუდენტი, რომელიც ან წესებით და გამოცდის სპეციფიკური წესების დარღვევის გამო მოიხსნება გამოცდიდან ითვლება დამრღვევად და მასზე შედგება შესაბამისი დარღვევის ოქმი. დარღვევის ოქმს ადგენს გამოცდის გამომცდელი/მეთვალყურე.
  25. სტუდენტი სრულად იზიარებს უნივერსიტეტის წესდების, გამოცდების ჩატარების წესს, სტუდენტის ეთიკის კოდექსით და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ დებულებებს, ღირებულებებსა და პრინციპებს და განუხრელად იცავს მათ.
  26. სტუდენტის მიერ წინამდებარე აქტის, გამოცდების ჩატარების წესისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსის (აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები) დარღვევის შემთხვევაში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.
  27. უნივერსიტეტის მარეგულირებელ აქტებში - გამოცდების, პლაგიატის და აკადემიური თაღლითობის საკითხში კოლიზიის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე მარეგულირებელ აქტს.